

ქართველების შრომითი მიგრაცია ევროკავშირის ქვეყნებში  
(საფრანგეთის მაგალითზე)

მაგისტრანტი: სოფიკო ღვინიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ პრობლემების განსაზღვრა, რომელიც XXI საუკუნის მსოფლიოსათვის და მათ შორის საქართველოსთვისაც ერთერთი მწვავე პრობლემაა. ეს არის- მოსახლეობის შრომითი მიგრაცია.

ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში მოკლედ არის განხილული თუ რა არის მიგრაცია, მისი რამდენი ფორმა არსებობს. საუბარია ასევე შრომით მიგრაციაზე, მის სახეებზე, წარმოშობის მიზეზებზე, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის, ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარით.

კვლევის ჩატარების შემდგომ სავარაუდოთ გამოვლინდა, თუ რა არის ქართველთა მიგრაციის ძირითადი მიზეზი, სად და როგორ პირობებში ცხოვრობენ მიგრანტი ქართველები და აპირებენ თუ არა სამომავლოდ სამშობლოში დაბრუნებას.